

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7  
2024 წლის 20 დეკემბერი

ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის №18 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

მარტვილის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევან სურმავა

დანართი

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი

თავი I

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	28,565.8	30,203.9	14,045.1	16,158.8	19,044.6	0.0	19,044.6
გადასახადები	13,617.0	14,687.9	0.0	14,687.9	17,036.6	0.0	17,036.6
გრანტები	13,995.6	14,316.0	14,045.1	270.9	1,198.0	0.0	1,198.0
სხვა შემოსავლები	953.1	1,200.0	0.0	1,200.0	810.0	0.0	810.0



ხარჯები	14,001.0	16,027.7	1,222.7	14,805.0	16,601.1	0.0	16,601.1
შრომის ანაზღაურება	3,798.3	4,218.2	0.0	4,218.2	4,649.4	0.0	4,649.4
საკონელი და მომსახურება	1,942.1	2,353.7	924.7	1,429.1	1,492.1	0.0	1,492.1
პროცენტი	51.2	28.6	0.0	28.6	9.6	0.0	9.6
სუბსიდიები	6,249.3	7,194.4	0.0	7,194.4	8,271.1	0.0	8,271.1
გრანტები	93.6	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,217.5	1,420.1	0.0	1,420.1	1,677.5	0.0	1,677.5
სხვა ხარჯები	648.9	782.5	298.0	484.5	471.4	0.0	471.4
საოპერაციო სალდო	14,564.8	14,176.2	12,822.4	1,353.8	2,443.6	0.0	2,443.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	14,200.0	17,711.2	14,163.6	3,547.5	2,928.2	0.0	2,928.2
ზრდა	14,267.5	17,831.2	14,163.6	3,667.5	3,548.2	0.0	3,548.2
კლება	67.5	120.0	0.0	120.0	620.0	0.0	620.0
ზრდა	406.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	406.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	231.8	3,741.2	1,341.3	2,399.9	595.2	0.0	595.2
ვალუტა და დეპოზიტები	231.8	3,741.2	1,341.3	2,399.9	595.2	0.0	595.2
კლება	190.7	206.2	0.0	206.2	110.6	0.0	110.6
საშინაო	190.7	206.2	0.0	206.2	110.6	0.0	110.6

**მუხლი 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	28633.3	30323.9	14045.1	16278.8	19664.6	0.0	19664.6
შემოსავლები	28565.8	30203.9	14045.1	16158.8	19044.6	0.0	19044.6
არაფინანსური აქტივების კლება	67.5	120.0	0.0	120.0	620.0	0.0	620.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	28459.2	34065.0	15386.3	18678.7	20259.8	0.0	20259.8
ხარჯები	14001.0	16027.7	1222.7	14805.0	16601.1		16601.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	14267.5	17831.2	14163.6	3667.5	3548.2	0.0	3548.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	190.7	206.2	0.0	206.2	110.6	0.0	110.6
ნაშთის ცვლილება	174.1	-3741.162	-1341.262	-2399.900	-595.200	0.000	-595.2

**მუხლი 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 19044,6 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	28,565.8	30,203.9	14,045.1	16,158.8	19,044.6	0.0	19,044.6
გადასახადები	13,617.0	14,687.9	0.0	14,687.9	17,036.6	0.0	17,036.6
გრანტები	13,995.6	14,316.0	14,045.1	270.9	1,198.0	0.0	1,198.0
სხვა შემოსავლები	953.1	1,200.0	0.0	1,200.0	810.0	0.0	810.0

**მუხლი 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 17036,6 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	13,617.0	14,687.9	0.0	14,687.9	17,036.6	0.0	17,036.6



ქონების გადასახადი	709.1	650.0	0.0	650.0	650.0	0.0	650.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	426.3	480.0	0.0	480.0	480.0	0.0	480.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	11.4	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	11.4	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	191.7	110.0	0.0	110.0	110.0	0.0	110.0
ფიზიკურ პირებიდან	118.2	60.0	0.0	60.0	60.0	0.0	60.0
იურიდიულ პირებიდან	73.5	50.0	0.0	50.0	50.0	0.0	50.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	79.7	60.0	0.0	60.0	55.0	0.0	55.0
ფიზიკურ პირებიდან	35.7	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
იურიდიულ პირებიდან	44.0	40.0	0.0	40.0	35.0	0.0	35.0
სხვა გადასახადები	12,908.0	14,037.9	0.0	14,037.9	16,386.6	0.0	16,386.6
დამატებული ღირებულების გადასახადი	12,908.0	14,037.9	0.0	14,037.9	16,386.6	0.0	16,386.6

**მუხლი 5. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 1198,0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13 995,6	14 316,0	14 045,1	270,9	1198,0	0,0	1198,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	13 995,6	14 316,0	14 045,1	270,9	1198,0	0,0	1198,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2 765,1	1 665,1	1 394,2	270,9	1198,0	0,0	1198,0
სპეციალური ტრანსფერი	1 000,0	241,5	241,5	0,0	900,0	0,0	900,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების	1 086,6	1 186,0	915,1	270,9	298,0	0,0	298,0



განსახორციელებლად							
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	678,5	237,7	237,7	0,0	0,0	0,0	0,0
<b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</b>	<b>11 230,5</b>	<b>12 650,8</b>	<b>12 650,8</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	7 621,2	7 642,8	7 642,8	0,0	0,0	0,0	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	990,0	990,0	990,0	0,0	0,0	0,0	0,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	2 619,3	4 018,0	4 018,0	0,0	0,0	0,0	0,0

**მუხლი 6. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 810,0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>953.1</b>	<b>1,200.0</b>	<b>0.0</b>	<b>1,200.0</b>	<b>810.0</b>	<b>0.0</b>	<b>810.0</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>564.1</b>	<b>550.0</b>	<b>0.0</b>	<b>550.0</b>	<b>480.0</b>	<b>0.0</b>	<b>480.0</b>
პროცენტები	363.8	270.0	0.0	270.0	200.0	0.0	200.0
რენტა	200.4	280.0	0.0	280.0	280.0	0.0	280.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	184.8	270.0	0.0	270.0	250.0	0.0	250.0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	15.6	10.0	0.0	10.0	30.0	0.0	30.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	59.7	95.0	0.0	95.0	80.0	0.0	80.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	41.8	75.0	0.0	75.0	60.0	0.0	60.0
სანებართვო მოსაკრებელი	15.5	50.0	0.0	50.0	30.0	0.0	30.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	25.9	25.0	0.0	25.0	30.0	0.0	30.0



არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	17.8	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	17.8	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	210.7	515.0	0.0	515.0	200.0	0.0	200.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	118.6	40.0	0.0	40.0	50.0	0.0	50.0

**მუხლი 7. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 16601,1 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	14,001.0	16,027.7	1,222.7	14,805.0	16,601.1	0.0	16,601.1
შრომის ანაზღაურება	3,798.3	4,218.2	0.0	4,218.2	4,649.4	0.0	4,649.4
საკონელი და მომსახურება	1,942.1	2,353.7	924.7	1,429.1	1,492.1	0.0	1,492.1
პროცენტი	51.2	28.6	0.0	28.6	9.6	0.0	9.6
სუბსიდიები	6,249.3	7,194.4	0.0	7,194.4	8,271.1	0.0	8,271.1
გრანტები	93.6	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,217.5	1,420.1	0.0	1,420.1	1,677.5	0.0	1,677.5
სხვა ხარჯები	648.9	782.5	298.0	484.5	471.4	0.0	471.4

**მუხლი 8. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2928,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3548,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი	227.2	549.1	237.7	311.4	127.0	0.0	127.0



	ორგანოების დაფინანსება							
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	13638.3	16878.6	13925.9	2952.7	3121.0	0.0	3121.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	204.9	215.4	0.0	215.4	275.0	0.0	275.0
04 00	განათლება	40.6	60.8	0.0	60.8	23.2	0.0	23.2
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	156.3	108.4	0.0	108.4	2.0	0.0	2.0
06 00	მოსახლეობის სოციალური დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.2	18.8	0.0	18.8	0.0	0.0	0.0
	სულ	14267.5	17831.2	14163.6	3667.5	3548.2	0.0	3548.2

ბ) განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 620.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	67,5	120,0	0,0	120,0	620,0	0,0	620,0
ძირითადი აქტივები	23,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	44,2	120,0	0,0	120,0	620,0	0,0	620,0
მიწა	44,2	120,0	0,0	120,0	620,0	0,0	620,0

**მუხლი 9. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5,123.2	6,140.0	237.7	5,902.3	6,287.4	0.0	6,287.4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5,072.0	6,111.4	237.7	5,873.7	6,277.8	0.0	6,277.8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,072.0	6,071.4	237.7	5,833.7	6,237.8	0.0	6,237.8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	51.2	28.6	0.0	28.6	9.6	0.0	9.6
702	თავდაცვა	141.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	11,316.7	14,832.4	12,739.2	2,093.2	1,676.0	0.0	1,676.0
7045	ტრანსპორტი	8,776.7	7,646.0	6,756.8	889.2	596.0	0.0	596.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	8,776.7	7,646.0	6,756.8	889.2	596.0	0.0	596.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2,539.9	7,186.4	5,982.4	1,204.1	1,080.0	0.0	1,080.0
705	გარემოს დაცვა	1,278.3	1,440.9	0.0	1,440.9	1,582.3	0.0	1,582.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1,069.8	1,220.0	0.0	1,220.0	1,362.3	0.0	1,362.3
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	208.5	220.9	0.0	220.9	220.0	0.0	220.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3,166.3	2,913.9	1,252.9	1,661.0	2,178.2	0.0	2,178.2
7061	ბინათმშენებლობა	886.5	474.0	0.0	474.0	899.0	0.0	899.0
7063	წყალმომარაგება	528.8	362.6	0.0	362.6	217.0	0.0	217.0
7064	გარე განათება	749.7	826.8	8.6	818.2	762.2	0.0	762.2
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,001.3	1,250.5	1,244.3	6.2	300.0	0.0	300.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	764.7	976.9	0.0	976.9	924.0	0.0	924.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	179.2	270.9	0.0	270.9	324.0	0.0	324.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	585.5	706.0	0.0	706.0	600.0	0.0	600.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,447.3	2,647.1	0.0	2,647.1	2,758.4	0.0	2,758.4





7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	844.8	991.9	0.0	991.9	979.4	0.0	979.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,230.2	1,384.3	0.0	1,384.3	1,513.0	0.0	1,513.0
7083	ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა	20.3	24.0	0.0	24.0	26.0	0.0	26.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	69.5	95.0	0.0	95.0	90.0	0.0	90.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	282.6	151.9	0.0	151.9	150.0	0.0	150.0
709	განათლება	3,151.8	3,786.1	915.1	2,871.0	3,798.4	0.0	3,798.4
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,330.8	2,850.0	0.0	2,850.0	3,776.4	0.0	3,776.4
7092	ზოგადი განათლება	788.1	915.1	915.1	0.0	0.0	0.0	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	788.1	915.1	915.1	0.0	0.0	0.0	0.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	32.8	21.0	0.0	21.0	22.0	0.0	22.0
710	სოციალური დაცვა	878.3	1,121.5	241.5	880.0	944.5	0.0	944.5
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	282.1	332.0	0.0	332.0	395.0	0.0	395.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	596.2	789.5	241.5	548.0	549.5	0.0	549.5
	სულ	28,268.5	33,858.8	15,386.3	18,472.5	20,149.2	0.0	20,149.2

**მუხლი 10. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 2443,6 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო -484,6 ათასი ლარით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	14564,8	14176,2	-484,6
მთლიანი სალდო	364,8	-3535,0	2443,6

**მუხლი 11. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -2808,0 ათასი ლარით.

2. განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 .0 ათასი ლარით.

3. განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება -595,2 ათასი



ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 110,6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2016-2018 წლებში მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ვალდებულებების ცვლილება	-190,8	-206,2	0,0	-206,2	-110,6	0,0	-110,6
კლება	190,8	206,2	0,0	206,2	110,6	0,0	110,6
საშინაო	190,8	206,2	0,0	206,2	110,6	0,0	110,6

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2024 წლის ბოლოსთვის არაუმეტეს 150,4 ათასი ლარის ოდენობით.

კრედიტორი	საპროგნოზო ნაშთი 31.12.2024
სულ მუნიციპალიტეტის ვალის ზღვრული მოცულობა	150,4
სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი	150,4

**თავი II**

**მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 14. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები მმართველობა და საერთო დანიშნულების დაფინანსება განისაზღვროს 6398,0 ათასი ლარით.**

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6,398.0
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,765.2
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4,472.6
01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	0.0
01 04	სარეზერვო ფონდი	40.0
01 06	მუნიციპალური განვითარების პროგრამის დაფინანსების ხარჯები	120.2



პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	01 02		25.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია ( ადმინისტრაციული სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 101-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილების შესაბამისად განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებები და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპები და წესი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტი საჯარო მოხელეებისთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის, მათი შესაძლებლობების გამოვლენის, პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირებისა და მოგვარების სტრატეგიების დაგეგმვის მიზნით უზრუნველყოფს კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებას. პროგრამით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადება სხვადასხვა სფეროებში. მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება- გამოუმუშავება, მათთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დანერგილია საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა		

სასესხო ვალდებულებების დაფარვის პროგრამა

მ.გ.ფ - სა და მუნიციპალიტეტის სხვა ვალდებულებების დაფარვა.

<b>პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:</b>				
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 06			
პროგრამის დასახელება:				
პროგრამის განმახორციელებელი:				
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2024-2026 წლები			
პროგრამის მიზანი:				
პროგრამის აღწერა:				



დასახელება	სულ	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება	<b>386,4</b>	236,1	120,1	30,2
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი				

### მუხლი 15. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები განისაზღვროს 4225,2 ათ. ლარით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4,225.2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)	596.0
02 01 01	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	296.0
02 01 02	ხიდ-ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	300.0
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,308.2
02 02 01	შენობების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია	899.0
02 02 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	50.0
02 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	217.0
02 02 04	პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა	150.0
02 02 05	საპროექტო-სახართაღრიცხვო, ექსპერტიზის და ზედამხედველობის ხარჯები	280.0
02 02 07	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	712.2
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	300.0
02 06	კეთილმოწყობის ცენტრი	371.0
02 07	სპორტული მოედნების მოწყობა	50.0



02 08	სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ხარჯები	0.0
02 09	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	600.0

კოდი	პროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 01			296,0
	<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	მარტვილის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	
	<b>პროგრამის აღწერა</b>	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება მოვლა პატრონობას, გზების მიმდინარე შეკეთებას და თანადაფინანსებას.</p> <p>მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 30% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.</p> <p>სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გზების მშენებლობა - კაპიტალური შეკეთება;</li> <li>- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა -პატრონობა;</li> </ul> <p>გზების მშენებლობა-კაპიტალური შეკეთება ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია.</p> <p>საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა -შენახვა ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას.</p>	
	<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	პროგრამის საბოლოო მიზანია მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; <b>პროგრამის საბოლოო შედეგი:</b> მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა	

კოდი	პროგრამის დასახელება	ხიდ-ბოგიერების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 02			300,0
	<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	
	<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდ-ბოგიერების მშენებლობა რეაბილიტაციას, მოვლა შენახვას და მშენებლობას.	
		პროგრამის საბოლოო მიზანია მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდ-	



**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი**

ბოგირების რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი ხიდების მშენებლობა; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;  
**პროგრამის საბოლოო შედეგი:** მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 03			217,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური		
<b>პროგრამის აღწერა</b>	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით წყალი მიეწოდება მოსახლეობის 40 პროცენტს, დანარჩენ მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება რადგან ზოგ შემთხვევაში გამოსულია მწყობრიდან და მოძველებულია წყლის სისტემები და ზოგ შემთხვევაში სისტემა საერთოდ არ არის და შესაბამისად ახალი სისტემებია დასამონტაჟებელი. მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ახალი სისტემების გაყვანა რათა მოსახლეობა ქონდეს ხარისხიანი და 24 საათიანი წყალმომარაგება. აგრეთვე დამონტაჟდეს მრიცხველები და რაც საშუალებას მოგვცემს მოსახლეობაში შეძლოს წყლის ღირებულების გადახდა და აკუმულირებული სახსრებით წყლის სისტემის მდგრადი ფუნქციონირება.		
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	წყალსადენი ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 04		150,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური		
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.		
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასასვენებელი ადგილებით უზრუნველყოფა დღე-ღამის ნების მიერ დროს; ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება;		
<b>საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი</b>	<b>ინდიკატორის დასახელება</b>	<b>საბაზისო მაჩვენებელი</b>	<b>მიზნობრივი მაჩვენებელი</b>
	მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.	44	30
	დასვენებისა და გართობის ადგილების კეთილმოწყობა.		N/A



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ზედამხედველობის ხარჯები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	02 02 05		280,0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით. სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება; საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა ღონისძიებები. რაც განაპირობებს ხარისხიან ხარისხიანად კარგად შესრულებულ სამუშაოებს.			
მოსალოდნელი შედეგი	სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია			
საბოლოო შედეგის ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	შემძინილი პროექტების რაოდენობა; საგარანტიო ვადაში, ობიექტზე წარმოშობილი ხარვეზის შედეგად მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზიანი.	5	10	№/A

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	02 02 07		712,2	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში ღამის პერიოდში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით, გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს დასახლებული ტერიტორიის 70%-ზე.  მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი მოიცავს დაახლოებით 2000 ბოძს, ამდენივე სანათს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: – გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლოატაცია და მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის დაფარვა; ქუჩების განათების სამუშაოები და ელ. ენერჯის ქსელში ჩართვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოიფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.			
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის გადაადგილებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო			



საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	განათებული დასახლებული ტერიტორიის მოცულობა	75%	80%	მოსახლეობის მომართვიანობა, ავარიული სიტუაციები, ელ. ენერჯის ცვალებადობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ცენტრი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	02 06		371,0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამის მიხედვით შექმნილია „კეთილმოწყობის ცენტრი“ რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: მწვანე საფარის მოვლა პატრონობა, შადრევნებისა და აუზების, წყლის სისტემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა, ქალაქის ტერიტორიის მოხეტიალე პირუტყვისაგან დაცვა.			
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის გადაადგილებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო			
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	კმაყოფილი მოსახლეობა	60%	80%	2-3%

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რეგიონის ფონდის თანადაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		600,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება რეგიონის განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება		

### მუხლი 16. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები განისაზღვროს 1211,3 ათ. ლარით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,211.3
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	991,3
03 02	საკანალიზაციო სისტემების	20.0





	მოწყობა-რეაბილიტაცია	
03 03	სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	200.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	03 01		991,3	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული პარკებისა და სკვერების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დაქლორვა, ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; დღეს არსებული სიტუაციით სულ ქალაქში სუფთავდება 61500 კვმ ფართობი, რაც მთლიანი დასასუფთავებელი ტერიტორიის 35 პროცენტია. წელიწადში ხდება 3600 ტონა ნარჩენების გატანა. დასუფთავების სერვისით მთელი მუნიციპალიტეტის მოცვისთვის საჭიროა დამატებითი ურნების და ნაგვის მანქანების შესყიდვა.			
მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება;			
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	გატანილი ნარჩენების რაოდენობა	3800ტ.	4200ტ.	მოსახლეობის დაუდევრობა
	დასუფთავებული ტერიტორიის რაოდენობა	70მ <sup>2</sup>	75.0 მ <sup>2</sup>	

### მუხლი 17. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები განისაზღვროს 3798,4 ათ. ლარით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა
04 00	განათლება	3,798.4
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	3,776.4
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	0.0
04 03	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა	0.0
04 04	შშმ ბავშვთა და მოზარდთა განათლების დაფინანსება	22.0

პროგრამის	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
-----------	------	-----------------------------------	----------------------------------



დასახელება	04 01	3776,4		
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა. მუნიციპალიტეტში სულ 1578 სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 25 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 759 ბავშვის სწავლება. ხოლო 819 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ააიპ "საბავშვო ბაღების გაერთიანება" (13 თანამშრომელი). სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 258 თანამშრომელი, მათ შორის 49 აღმზრდელი, აღმზრდელ-პედაგოგო/მენტორი 3, აღმზრდელ-პედაგოგი 11 და 52 აღმზრდელის თანამშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“ დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. გენდერულ ჭრილში სტატისტიკით სულ მუნიციპალიტეტში 1585 სკოლამდელი ასაკის ბავშვია, მ.შ. გოგონა- 798 და ვაჟი- 787.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 759 შესაბამისი ასაკის ბავშვი, მათ შორის გოგონა -353, ვაჟი-371.</p>			
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	აღსაზრდელთა რაოდენობა	800	900	№/A

**მუხლი 18. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**  
 პრიორიტეტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები განისაზღვროს 2758,4 ათ. ლარით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2,758.4
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	979.4
05 01 01	სპორტული სკოლა	414.4



05 01 02	საფეხბურთო სკოლა	545.0
05 01 03	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	20.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,689.0
05 02 01	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	30.0
05 02 02	მუსიკალური სკოლის დაფინანსება	267.6
05 02 03	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	150.0
05 02 04	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	26.0
05 02 05	კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი	915.4
05 02 06	მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	300.0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	20.0
05 04	რელიგიური ღონისძიებების დაფინანსება	70.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	05 01 01		414,4	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტსკოლაში სწავლობს 295 მოსწავლე, მ.შ. 63 გოგონა და 242 ბიჭი. ფუნქციონირებს 14 ჯგუფი ჭადრაკის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, ძიუდოს, რაგბის, მძლეოსნობის, ძალოსნობის, უშუს, კინბოქსინგის, კრივის, ტაეკვანდოს, ტანვარჯშის, ფრენბურთი და მაგიდის ჩოგბურთის ჯგუფები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ჭადრაკის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, ძიუდოს, რაგბის, მძლეოსნობის, უშუს, კინბოქსინგის, კრივის, ტანვარჯშის ჯგუფების მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეკორდსმენების სახელობის ტურნირებში, რეგიონალურ ჩემპიონატებში, შესარჩევ ტურნირებში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</li> <li>- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით</li> </ul>			
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;			
საბოლოო შედეგის	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	„სპორტული სკოლაში“ არსებული სპორტის			



შეფასების ინდიკატორი	სახეობების რაოდენობა	14	14	0%
	სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები	295	305	მომართვიანობა

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		545,0

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“
-----------------------------	---

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საფეხბურთო სკოლაში ფუნქციონირებს 16 ჯგუფი, სადაც სწავლობს 300 მოსწავლე. პროგრამის ფარგლებში საფეხბურთო სკოლის გუნდების მონაწილეობა დაგეგმილია რეგიონალურ შეჯიბრებებში და ასევე მუნიციპალიტეტის შიდა ღონისძიებებში: სოფლებს შორის ჩემპიონატში; საჯარო სკოლებს შორის ჩემპიონატში 4 ასაკობრივ ჯგუფში; წარმოება - დაწესებულებებს შორის ჩემპიონატში მინი ფეხბურთში; საჯარო სკოლებს შორის ჩემპიონატში 2 ასაკობრივ ჯგუფში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</li> <li>- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით</li> </ul>
----------------------------	---

მოსალოდნელი შედეგი	სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;
--------------------	--

ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები	
საბოლოო შედეგის ინდიკატორი	„საფეხბურთო სკოლაში“ არსებული ჯგუფების რაოდენობა	16	17	0%
	სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები	300	320	მომართვიანობა

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		267,6

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის ზ.ანჯაფარიძის სამუსიკო სკოლა“
-----------------------------	---

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მარტვილის სამუსიკო სკოლაში სწავლობს 189 მოსწავლე, ფუნქციონირებს 61 ჯგუფი, შემდეგ განყოფილებებზე: საფორტეპიანო, საგუნდო, სიმებიანი, ვიოლინო, კლასიკური ვოკალი (ესტრადა), ფოლკლორი. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში, ხდებიან ლაურეატები, ჯილდოვდებიან სიგელებით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შიდა ღონისძიებები, ღია და დახურული კონცერტები, ღია გაკვეთილები, ტექნიკური ჩათვლები.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p>
----------------------------	---

მოსალოდნელი	
-------------	--



შედეგი	მუსიკის მასობრიობა და პოპულარიზაცია.			
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	„სამუსიკო სკოლაში“ არსებული ჯგუფების რაოდენობა	189	200	მომართვიანობა
	სამუსიკო სკოლების მიერ ფესტივალებში მონაწილეობა	სამუსიკო სკოლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 2 ფესტივალში	წელს იგეგმება არანაკლებ 3 ფესტივალში მონაწილეობის მიღება	5% - დამოკიდებულია მოწვევების რაოდენობაზე

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		150,0
პროგრამის განმახორციელებელი	„მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ჰყონდილოზის დღესასწაულის, ფოლკლორული ფესტივალების და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	მარტვილის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონის ამაღლება და ტურიზმის განვითარება მუნიციპალიტეტში.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		26,0
პროგრამის განმახორციელებელი	„მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო ბუკლეტებისა და ჟურნალების გამოცემა. (დაგეგმილია გაზეთის დაფინანსება, საინფორმაციო ბუკლეტებისა და ჟურნალების გამოცემა. ასევე მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების გაშუქება ტელევიზიასა და რადიოში). მერიის საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისა და ანონსების განთავსება მთავარ და თემატურ გვერდებზე; ფოტო და ვიდეომასალების, ინფორმაციის გავრცელება სოციალურ ქსელში ამ დანიშნულებით შესაბამისი სააგენტოს მომსახურება; ნორმატიული აქტების გამოქვეყნება საკანონმდებლო მაცნეში; ვებგვერდის მომსახურების შესყიდვა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებში. მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაზრდა. მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა.		

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	5	5	ხელის შეშლელი ბუნებრივი



პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა		2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05			915,4
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი ბიბლიოთეკებს, კულტურის სახლებს მასთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდიებით, ფოლკლორული ანსამბლით, გიტარის შემსწავლელი, საესტრადო სიმღერების შემსწავლელი, ტექნიკურ-მეცნიერებათა, მხარეთმცოდნეობის, გამოყენებითი ხელოვნების, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, უცხო ენების შემსწავლელი ( გერმანული და ინგლისური), ფოლკლორის, მხატვრული კითხვის, ეკოლოგიის, რელიგიის ისტორიის, თვითშემოქმედების და სახვითი ხელოვნების წრეებს (სადაც სწავლობს 500 მოსწავლე). პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აღსაზრდელთა მონაწილეობა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სახლის სასწავლო შემოქმედებით კონფერენციაში, ქობულეთის საერთაშორისო და სხვა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში. ქორეოგრაფიული სტუდიების მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში, ასევე შავი ზღვის აუზის და სხვა საერთაშორისო კონკურსებში. აგრეთვე დაგეგმილია ცნობილი მწერლების, პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეებისა მოწვევა და შეხვედრა კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის აღსაზრდელთან. 14 მაისს თამარობის დღესთან, 26 მაისს დამოუკიდებლობის დღესთან, 25 სექტემბერს ჭყონდიდლობასთან დაკავშირებით დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. ფოლკლორული ფესტივალების, პოექტ „ეტალონის“, სასკოლო ოლიმპიადების და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსება, ასევე ივნისის ბოლოს ტარდება საანგარიშო კონცერტი.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მარტვილის მუნიციპალიტეტში კულტურული დონის ამაღლება.			
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	20	30	ხელის შემშლელი ბუნებრივი პირობები (პანდემია)

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა		2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06			300,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუზეუმის ფონდის აღრიცხვა-სისტემატიზაცია და პოპულარიზაცია. გამოფენების მოწყობა. სამხატვრო შემოქმედებითი გამოფენის მოწყობა და პოპულარიზაცია. კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების გამოვლენა, აღრიცხვა, სისტემატიზაცია და პოპულარიზაცია. არსებული მატერიალურ-ტექნიკური და შემოქმედებითი მდგომარეობის პროგრესირება. კულტურული მემკვიდრეობისადმი საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენებისა და ღონისძიებების მოწყობა. საეკლესიო და კულტურული ძეგლების პასპორტიზაცია. საბავშვო და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება, ექსპედიციების მოწყობა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებობს საცდელი ნაკვეთი, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა ჯიშის ყურძნის გამოყვანა.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მარტვილის მუნიციპალიტეტში კულტურული დონის ამაღლება.			



	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	10	10	ხელის შემშლელი ბუნებრივი პირობები

ამის დასახელება	კოდი	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 04		70.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა ემსახურება მარტვილის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას. საქართველოს მთავრობის 19.02.2014 წლის №177 დადგენილების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების, მათ შორის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების ნაგებობების რესტავრაციის, რეკონსტრუქციისა და სამშენებლო-ზედამხედველობის მიზნით სსიპ საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან შეთანხმებას და მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შემდგომი ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას. პროგრამის მიზანია მარტვილის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების მომართვის საფუძველზე კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების განხორციელება. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, მშენებლობა. სახალხო-რელიგიური დღესასწაულების მოწყობა და პოპულარიზება.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება საკულტო - სარიტუალო შენობა ნაგებობების მდგომარეობა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. ხელი შეეწყობა მრევლისთვის ადაპტირებულ გარემოს. გაიზრდება ტოლერანტული ურთიერთდამოკიდებულება.		

**მუხლი 19. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები განისაზღვროს 1868.5 ათ. ლარით: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას.

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ასევე გაგრძელდება ინვალიდი, ობოლი და ტყუპი ბავშვების სოციალური დაცვა.

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,868.5
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	324.0



06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	1,544.5
06 02 01	მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	600.0
06 02 02	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და უკიდურესად შეჭირვებულთა დაკრძალვის ხარჯები)	20.0
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, 9 აპრილის და აგვისტოს მოვლენებში დაზარალებულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება)	19.0
06 02 04	100 წლის და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი	8.0
06 02 05	უკიდურესად შეჭირვებულთა ერთჯერადი დახმარება	402.5
06 02 06	მრავალშვილიანი ოჯახების (4 შვილი და მეტი)	85.0
06 02 07	ობოლი ბავშვების დახმარება	120.0
06 02 08	შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარება	70.0
06 02 09	ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა ერთჯერადი დახმარება	100.0
06 02 10	ახალშობილთა დახმარება	120.0

